

სკოპინგის დასკვნა N16

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ტურისტული ინფრასტრუქტურის (საბაგროს, ტობოგანის და ატრაქციონების) ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ HMG“ (ს/კ: 426109187);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ბაკურიანი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 30.04.2026;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გერგილი“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ HMG“-ის (შემდგომ - კომპანია) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) წარმოდგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის (ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში, ტურისტული ინფრასტრუქტურის (საბაგროს, ტობოგანის და ატრაქციონების) ექსპლუატაცია) სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიერ, 2024 წლის 10 ივლისს „ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ – HMG“-ის მიერ საბაგროს, ტობოგანის და ატრაქციონების მოწყობასა და წყლის რეზერვუარის ექსპლუატაციაზე“ გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №346/ს), რომლის საფუძველზე საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე განხორციელდა დაგეგმილი ინფრასტრუქტურის (მათ შორის, სასტუმრო კომპლექსი, წყლის რეზერვუარი, საბაგრო, ტობოგანი, სასრილო ტრასა, მისასვლელი გზები და ბილიკები, გარე განათება და სხვ.) მოწყობა.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ცნობით, ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიის უკანონო ქმედებების შედეგად გარემოს დაზიანების დონე შეესაბამება „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მნიშვნელოვანი ზიანის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს და კომპანიამ განახორციელა ამავე კანონით განსაზღვრული ე.წ. გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობა („გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართით გათვალისწინებული საქმიანობა, რომელიც სკრინინგის შედეგად დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების

შეფასებას). აღნიშნულიდან გამომდინარე, ბორჯომის მუნიციპალიტეტში გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ-HMG“-ს „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაეკისრა მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, რის საფუძველზეც ამ ეტაპზე სააგენტოში მიმდინარეობს შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ HMG“-მა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში, განახორციელა მრავალფუნქციური ტურისტული და დასასვენებელი ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს დაბა ბაკურიანში, დიდველის ტერიტორიაზე, შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ HMG“-ის, სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია საქმიანობის ალტერნატივების ანალიზი, მათ შორის განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) და ინფრასტრუქტურული ობიექტების ადგილმდებარეობის ალტერნატივები. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო არეალი უკვე ათვისებულია, შესაბამისად, უმოქმედობის ალტერნატივა გულისხმობდა არსებული ნაგებობების დემონტაჟსა და ტერიტორიიდან გატანას, რაც გარემოზე ზემოქმედების მაღალი რისკებიდან გამომდინარე უარყოფილი იქნა. რაც შეეხება ინფრასტრუქტურული ობიექტების ადგილმდებარეობას, აღნიშნულია, რომ ტერიტორიები შერჩეული იქნა გარემოსდაცვითი და ტექნიკურ საკითხების გათვალისწინებით.

საპროექტო არეალი მოიცავს დასასვენებელი და ტურისტული ინფრასტრუქტურის ერთიან კომპლექსს, სადაც განთავსებულია: სასტუმრო ტიპის აპარტამენტები და კოტეჯები, საბაგრო გზები და სათხილამურო ინფრასტრუქტურა, გასართობი ატრაქციონები, დამხმარე საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობები და ხელოვნური წყალსაცავი (ტექნიკური წყლის რეზერვუარი), რომელიც გამოიყენება გათვალისწინების სისტემებისთვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები მოიცავდა სასტუმრო კომპლექსის, აპარტამენტებისა და კოტეჯების მშენებლობას. სამშენებლო სამუშაოები მოიცავდა მოსამზადებელ სამუშაოებს (სამშენებლო მოედნის მოწყობა, გრუნტის დამუშავება და სხვ.), რკინა-ბეტონის საძირკვლების მოწყობას, შენობების, კედლების, ტიხრების, გადახურვისა და ფასადის მოპირკეთების სამუშაოებს, შიდა საკომუნიკაციო ქსელების (ელექტრობა, წყალმომარაგება, კანალიზაცია, ვენტილაცია, გათბობა) მოწყობას და სხვ.

ხელოვნური წყალსაცავის (რეზერვუარის) მოწყობა ითვალისწინებდა ჰიდროტექნიკურ, მათ შორის, მიწის სამუშაოებს, ჰიდროიზოლაციას (რეზერვუარის ფსკერი და გვერდები მოპირკეთდა სპეციალური წყალგაუმტარი მემბრანით), სადრენაჟე სისტემის მოწყობას, წყლის მიწოდებისა და დაცლის მილსადენების (სიგრძე 6.5 კმ), ასევე სატუმბო სადგურის მონტაჟს. რეზერვუარის GPS კოორდინატებია: X-379134, Y-4620626. რეზერვუარის მაქსიმალური

მოცულობა შეადგენს 9927.63 მ³-ს, ხოლო ფართობი - 4122.09 მ²-ს. ხელოვნური წყალსაცავის (რეზერვუარი) შევსება ხორციელდება ზედაპირული (სეზონური ჩამონადენი/ნალექები) წყლებიდან.

საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია და ფუნქციონირებს საბაგირო გზების სისტემა. საბაგირო შედგება სამი ხაზისგან, რომელთა საერთო სიგრძე შეადგენს 2.95 კმ-ს (საბაგირო N1 - 1.25 კმ, საბაგირო N2 - 0.97 კმ, საბაგირო N3 - 735 მ), ხოლო ანძების საერთო რაოდენობა - 36 ერთეულს (საბაგირო N1 - 14 ერთეული, საბაგირო N2 - 12 ერთეული, საბაგირო N3 - 10 ერთეული). N1 და N2 საბაგიროების ფარგლებში მოწყობილია 4 (თითოეულისთვის 2) ქვედა და ზედა სადგურები, ხოლო N3 ღია ტიპის სავარძლისებრი საბაგიროა და არ საჭიროებს სადგურებს. საბაგირო ინფრასტრუქტურის მოწყობა განხორციელდა კომპლექსური საინჟინრო-სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში, რომელიც მოიცავდა შემდეგ ეტაპებს: საყრდენების ფუნდამენტების მოწყობას; რკინა-ბეტონის კონსტრუქციის სადგურების მშენებლობას; ანძების მონტაჟს; ბაგირის გაჭიმვას; სადგურებში მთავარი ელექტროძრავების, რედუქტორების და ავარიული (სარეზერვო) დიზელ-ძრავების დამონტაჟებას; ბაგირის მდებარეობის მაკონტროლებელი სენსორების, ასევე ქარისმზომების და დამუხრუჭების სისტემის დამონტაჟებას.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ტობოგანის ფუნქციონირება დაფუძნებულია გრავიტაციულ ძალაზე, შესაბამისად, განთავსების არეალი შეირჩა ბუნებრივი ლანდშაფტური მახასიათებლებისა და ატრაქციონის ტექნოლოგიური მოთხოვნების თანხვედრის პრინციპით. გარდა ამისა, ანგარიშის მიხედვით, შერჩეული მიწის ნაკვეთი თავისუფალი იყო ხე-მცენარეებისგან. მოწყობითი სამუშაოები მოიცავდა: საყრდენების მოწყობას, ლითონის კონსტრუქციებისა და რელსების აწყობა-მონტაჟს, დამცავი ბადეებისა და დამუხრუჭების სისტემების ინსტალაციას.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ტერიტორიაზე ასევე მოწყობილია ატრაქციონები, შიდა გზები და ბილიკები, დამონტაჟებულია გარე განათების სისტემა და გამწვანება. კომპლექსის ელექტროენერგიით მომარაგება ხორციელდება 4 ტრანსფორმატორიდან (განთავსების GPS კოორდინატებია: N1 - X-377670, Y-4621063; N2 -X-379109, Y-4620573; N3- X-379039, Y-4620573; N4 -X-378347, Y-4620573).

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება ხორციელდება საპროექტო არეალის მიმდებარედ არსებული ზედაპირული წყლის ობიექტიდან (ღელე), 50 მმ დიამეტრის პოლიეთილენის მილსადენის საშუალებით (წყალმიღების წერტილის GPS კოორდინატია: X-379382, Y-4620577). როგორც უკვე აღინიშნა, სათხილამურო ტრასების გათვლიანების სისტემით უზრუნველყოფის მიზნით ტერიტორიაზე მოწყობილია და ფუნქციონირებს ხელოვნური წყალსაცავი, რომლის შევსება ხორციელდება სეზონური ჩამონადენისგან (ნალექებისგან). საპროექტო არეალში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მართვა ხორციელდება ზონების მიხედვით. კერძოდ, კომპლექსის ძირითადი ნაწილი

(სასტუმროები, კოტეჯები) დაერთებულია დაბა ბაკურიანის ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელზე, ხოლო ზედა ზონაზე (კაფე „სკაილაინი“) დაგეგმილია ავტონომიური, ჰერმეტიკული სექტიკური რეზერვუარის მოწყობა. სექტიკური ავზის დაცლა განხორციელდება პერიოდულად, ასენიზაციის მანქანების საშუალებით. ანგარიშის თანახმად, სექტიკური ავზის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება საქმიანობის გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოებში გამოყენებული იყო შემდეგი სახის ტექნიკა: ამწე, ბეტონშემრევი მანქანა, ექსკავატორი, ბულდოზერი, ტრაქტორი. მშენებლობის ეტაპზე დასაქმებული იყო 100 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები (ექსკავაციის ქანები, გრუნტი) გამოყენებული იქნა ტერიტორიის ვერტიკალური დაგეგმარებისთვის, მათ შორის, რელიეფის მოსწორებისთვის, ფერდობების დატერასება/გამაგრებისათვის. ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოიქმნება სახიფათო და არასახიფათო, მათ შორის, მუნიციპალური ნარჩენები. ტერიტორიაზე განთავსებულ კონტეინერებში დაგროვებული მუნიციპალური ნარჩენების გატანა გათვალისწინებულია ადგილობრივი მუნიციპალური სამსახურის მიერ, ხოლო სახიფათო ნარჩენები (ზეთები, ფილტრები, ნაჭრები) გროვდება განცალკევებით, სპეციალურად გამოყოფილ დახურულ ზონაში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას, ხელშეკრულების საფუძველზე. ანგარიშის თანახმად, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნება ნარჩენების მართვის გეგმა.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია ობიექტისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას გეოლოგიურ გარემოზე მოხდა მნიშვნელოვანი ანთროპოგენური ზემოქმედება. კერძოდ, განხორციელდა ფერდობების დატერასება, გრუნტის მოჭრა და მიწის სამუშაოები შენობა-ნაგებობებისა და წყალსაცავის მოსაწყობად, ასევე მოხდა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და გრუნტის სტრუქტურის ცვლილება. ხოლო ობიექტის ფუნქციონირებისას გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკები ძირითადად დაკავშირებულია წყლის რეზერვუართან, ეროზიულ პროცესებთან, საბაგირო გზის ანძებისა და კაპიტალური შენობების მიერ ფერდობებზე ზეწოლასთან. ანგარიშის თანახმად, გეოლოგიური გარემოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, შესაბამისად, არსებული გეოლოგიური გარემოს სტაბილიზაციისა და უსაფრთხოებისთვის ხორციელდება სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის: ჰიდროტექნიკური და საინჟინრო უსაფრთხოება, სანიაღვრე არხების სისტემის მოწყობა,

საბაგროს ანძებისა და შენობების მიმდებარე ფერდობების შემოწმება. ანგარიშის თანახმად, გეოლოგიური გარემოს შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების ფუნქციონირება დაკავშირებულია მიწისქვეშა წყლების სამეურნეო-ფეკალური წყლებით და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებასთან. კერძოდ, ინფრასტრუქტურის ნაწილი (კვების ობიექტი/კაფე) არ იყო დაერთებული ჰერმეტიკულ სეპტიკურ ავზზე და ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხდებოდა გრუნტში. აღნიშნულთან დაკავშირებით დაგეგმილია სეპტიკური ავზის მოწყობა, სადაც დაერთდება ობიექტის კანალიზაცია.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო არეალში მუდმივი ზედაპირული წყლის ობიექტები არ ფიქსირდება, თუმცა ტერიტორიაზე არსებობს დროებითი, სეზონური ხევეები და ბუნებრივი წყალშემკრები სიღრმეები, რომლებიც საზრდოობენ ატმოსფერული ნალექებით წარმოქმნილი წყლებით. ინფრასტრუქტურული ობიექტის ფუნქციონირება დაკავშირებულია ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედებასთან. კერძოდ, ჩამდინარე წყლებით დაბინძურებასთან; ტერიტორიაზე მოწყობილი ხელოვნური წყალსაცავის არასწორ ექსპლუატაციასთან; ავტოპარკინგსა და გზებზე დაგროვილი ნავთობპროდუქტების ნარჩენების წვიმის წყლით მიმდებარე ლანდშაფტურ ტერიტორიაზე ჩარეცხვასთან და სხვ. აღნიშნულთან დაკავშირებით შემუშავდა შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, კერძოდ: კვების ობიექტი დაერთდება ჰერმეტიკულ სეპტიკურ ავზზე, ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხები და კიუვეტები გაიწმინდება რეგულარულად, მოხდება ტერიტორიის რეგულარული დასუფთავება.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ძირითადი ინფრასტრუქტურული სამუშაოები უკვე დასრულებულია. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვეოდა არაორგანიზებული მტვერი და მძიმე სამშენებლო ტექნიკის გამონახოლქვი, რომელიც იყო დროებითი. ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა და ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება დაკავშირებული არის სასტუმროს, რესტორნების და დამხმარე ნაგებობების სავენტილაციო სისტემების, ენერგო-დანადგარების, გათბობის სისტემების, ტექნოლოგიური დანადგარების, ვიზიტორთა და მომსახურე პერსონალის ავტოტრანსპორტის მუშაობასთან და სხვ. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, შემუშავებული იქნა შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები (სავენტილაციო სისტემების გამართული მუშაობა, ავტოტრანსპორტის რეგულირება, ტექნიკური გამართულობა, გამწვანება და სხვ.).

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ბაკურიანის სუბალპურ ეკორეგიონში, სადაც წარმოდგენილია ბალახოვანი და ბუჩქოვანი მცენარეები, ასევე ტყის ფრაგმენტები. აღნიშნული ტერიტორიაზე ძუძუმწოვრები გვხვდება ჩვეულებრივი მელა (*Vulpes vulpes*), ტურა (*Canis aureus*), მაჩვი (*Meles meles*) და სხვ. ფრინველებიდან

ფიქსირდება კაკაჩა (*Buteo buteo*), რუხი ყვავი (*Corvus cornix*), ჩხართვი (*Garrulus glandarius*) და სხვა სახეობები. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საველე კვლევის დროს არ დაფიქსირებულა საქართველოს წითელი ნუსხით დაცული არცერთი სახეობა. ანგარიშის თანახმად, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მოიცავს სახელმწიფო ტყის მიწებს, ტყით მჭიდროდ დაფარულ ზონას. მშენებლობის ეტაპზე განხორციელდა ხე-მცენარეებისა და მცენარეული საფარის მოცილება საბაგროს, გზების, სასრიალო ტრასებისა და ობიექტთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით. ექსპლუატაციის ეტაპზე ტყის ეკოსისტემაზე მიყენებული ზემოქმედების შესამცირებლად განხორციელდება სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები. ანგარიშის თანახმად, „განაშენიანების დეტალური გეგმის“ შესაბამისად, 33280 მ² ფართობზე მოეწყობა რეკრეაციული ზონა და დაირგვება ადგილობრივი სახეობის ხე-მცენარეები.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი მთლიანი საპროექტო ტერიტორიიდან (146328 მ² ფართობი) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 28169 მ² წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. ასევე, წარმოდგენილი მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: N64.34.01.114; N 64.34.01.182; N 64.34.01.299; N 64.34.01.300; N 64.34.01.183; N 64.34.01.670; N 64.30.13.285; N 64.30.19.010; N 64.34.01.817; N 64.30.19.008; N 64.30.19.009; N 64.34.01.800; N 64.30.19.007; N 64.30.19.011; N 64.34.01.184) სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2025 წლის 06 თებერვლის (ბრძანება N58/ს), 49 წლის ვადით (მათ შორის, რეაბილიტაცია 10 წელი), განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება მიენიჭა შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ - HMG“-ს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ტობოგანის საზღვრიდან უახლოესი დაცული ტერიტორია - ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი, რომელიც ასევე წარმოადგენს ზურმუხტის ქსელის საიტს (Ktsia-Tabatskuri - GE0000038) დაშორებულია დაახლოებით 1.5 კმ-ით. ამასთანავე, განაშენიანების არეალში არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ ფიქსირდება. აქედან გამომდინარე, ჩამოთვლილ კომპონენტებზე პროექტით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სასტუმრო კომპლექსის შენობა-ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია. შესაბამისად, დიდმასშტაბიანი მშენებლობით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, თუმცა დაგეგმილია მაკორექტირებელი ღონისძიებები (სეპტიკური ავზის მოწყობა, გამწვანების სამუშაოები), რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ხანმოკლე ზემოქმედება. საპროექტო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედების წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს მიმდებარედ არსებულ სხვა ტურისტული ობიექტები. პროექტის განხორციელების ეტაპზე

მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება დაკავშირებულია სატრანსპორტო ნაკადებზე და დაბის საკანალიზაციო ქსელზე დატვირთვის გაზრდით.

სკოპინგის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და მისი საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება. მათ შორის, ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე, გაეგზავნა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით.

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2026 წლის 28 მაისს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანის კინოთეატრის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ HMG“-ის, საკონსულტაციო კომპანია - შპს „გერგილის“, ბორჯომის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო განხილვაზე დასმული კითხვები ძირითადად ეხებოდა: კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ზემოქმედებას, მათ შორის, საპროექტო არეალში მოქცეულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთებსა და მათი კომპანიის მხრიდან დაბრუნება/გამოსყიდვის საკითხებს, ასევე საპროექტო არეალის მიმდებარედ მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის გართულებას, უკანონოდ დაწყებულ საქმიანობასა და უკვე განხორციელებულ პროექტზე ადმინისტრაციული პროცედურების დაწყებას, პარკინგის მშენებლობის შედეგად დაბინძურებულ წყლის ობიექტს - ღელეს, სატყეო მიწებზე ზემოქმედებას, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით კურორტ ბაკურიანში არსებულ მდგომარეობის გაუარესებას, ადგილობრივი ბიზნესის შეფერხებას, საპროექტო არეალის გაზრდის შემთხვევაში დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთებზე პოტენციურ ზემოქმედებასა და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს. საჯარო განხილვაზე დასმულ საკითხებზე შესაბამისი განმარტებები გააკეთეს შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ HMG“-ის და შპს „გერგილის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში ა(ა)იპ ბაკურიანის სასტუმროების მესაკუთრეთა ასოციაციის და მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი იქნა შენიშვნები და მოსაზრებები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა: კონკურენციის გაზრდით ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას, საპროექტო არეალის საზღვრების დადგენას (განსაკუთრებით, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა და სახელმწიფო ტყის ტერიტორიებთან მიმართებაში), საპროექტო ტერიტორიაზე გამავალ ტურისტულ მარშრუტებზე და საზოგადოებრივ პარკში ადგილობრივი მოსახლეობის დაშვებას, ადგილობრივი მოსახლეობისთვის საფეხმავლო და სატრანსპორტო დერეფნების (სერვიტუტის უფლებით) სარგებლობის შესაძლებლობას, ადგილობრივი მოსახლეობისთვის

ტურისტული ინფრასტრუქტურით სარგებლობისთვის შეღავათიანი ტარიფების დაწესებას, საპროექტო ტერიტორიის დიდი ნაწილის სახელმწიფო ტყის საზღვრებში არსებობას, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების არასათანადო განხილვას, ფრინველთათვის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე ზემოქმედებას, პარკირებას, ნარჩენების მართვას, მწვანე საფარის მოწყობას, უკვე განხორციელებულ პროექტზე ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის საფუძველს და პროექტის განხორციელებით გარემოსთვის მიყენებულ ზიანს, კლიმატზე/თოვლის საფარზე მოსალოდნელ ზემოქმედებას, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებას, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ათვისებას, საპროექტო არეალის გაზრდის შემთხვევაში გამოწვეულ ზემოქმედებას, კომპანიის მიმართ მოსახლეობის უნდობლობას აღებული ვალდებულებების პირნათლად შესრულებასთან დაკავშირებით.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირდა დაგეგმილი საქმიანობიდან გამომდინარე გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა საქმიანობის შედეგად გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. ასევე, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. **გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).**
5. **გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:**

- საპროექტო საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდ(ებ)ის, SHP ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით;
- საპროექტო საქმიანობის დეტალური აღწერა (უკვე განხორციელებული სამუშაოების გათვალისწინებით), მათ შორის, სათხილამურო და საბაგიროს ტრასა, ატრაქციონები, დასასვენებელი კომპლექსური დასახლება და სხვ. (სქემატურ ნახაზებზე და shp ფაილებზე ასახვით);
- საპროექტო ტერიტორიის საკუთრების ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების ზონირება. კომპლექსის ტოპოგრაფიული გეგმა და მიწის ნაკვეთებზე განთავსებული/განსათავსებელი ობიექტების გეგმა ექსპლიკაციით;
- დაზუსტებული მანძილი საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე (საკადასტრო კოდის მითითებით), დასახლებამდე, საავტომობილო გზამდე, მდინარემდე და ხევებამდე (რუკაზე ასახვით);
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების შესახებ (სქემატურ ნახაზებზე და shp ფაილებზე ასახვით). ასევე ინფორმაცია ახალი მისასვლელი გზების მოწყობის ან/და არსებულის რეაბილიტაციის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ბიოლოგიურ გარემოზე, მცენარეულ საფარზე და ჰაბიტატების მთლიანობაზე ზემოქმედება, ცხოველთა სამყაროზე (მათ შორის, წითელი ნუსხის სახეობებზე) ზემოქმედება მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე (მათ შორის, უკვე განხორციელებული სამუშაოების გათვალისწინებით) და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი და კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები;
- ინფორმაცია საპროექტო ობიექტის სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყალმომარაგების შესახებ;
- სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის საკითხები;
- ინფორმაცია წყალარინებისა და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ (სანიაღვრე და სადრენაჟე სისტემის დახასიათებით და სქემატურ ნახაზზე/shp ფაილებზე ასახვით);
- ინფორმაცია საპროექტო გამწმენდი სეპტიკის/ნაგებობის შესახებ (განთავსების ადგილის, გამწმენდის ალტერნატივების შესახებ, სეპტიკების საპასპორტო მონაცემების, წარმადობის, დაცლის, ტექნოლოგიური სქემისა და სხვა პარამეტრების მითითებით);

- ინფორმაცია იმ წყლის ობიექტების შესახებ, რომელთა საშუალებითაც ხდება წყლის რეზერვუარის წყალუზრუნველყოფა-ექსპლუატაცია, შესაბამისი გაანგარიშებების მითითებით;
- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული წყლის რეზერვუარის შესახებ დეტალური აღწერა (მათ შორის, ტექნიკური პარამეტრები, წყალგაუმტარი ფენის შესახებ და სხვ.);
- ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობისა და ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედების შეფასება;
- მოსალოდნელ ავარიულ და ბუნებრივ საფრთხეებზე რეაგირების ღონისძიებები;
- ინფორმაცია პროექტის ფარგლებში საკომუნიკაციო ქსელების გადაკვეთის (არსებობის შემთხვევაში) შესახებ (მესაკუთრეებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენით).
- სახანძრო უსაფრთხოების საკითხები, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების აღწერა;
- დეტალური ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანებითი ღონისძიებების შესახებ, გენ-გეგმაზე მითითებით. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს გამწვანებისთვის შერჩეული სახეობების ჩამონათვალი და გამწვანების ღონისძიებების განხორციელების გეგმა. ამასთან, უნდა შეფასდეს, რამდენად შეუწყობს ხელს აღნიშნული ღონისძიება დარღვეული ჰაბიტატების ნაწილობრივ აღდგენასა და ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლებისთვის, მათ შორის ფრინველებისთვის, ხელსაყრელი გარემოს შექმნას. ასევე, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას აღნიშნული ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასებისა და მონიტორინგის საკითხები;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სამიეზო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სოციალური პაკეტების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე გამოთქმული მოსაზრებების/შენიშვნების გათვალისწინების შესახებ;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის, დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი. ასევე ინფორმაცია პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;

6. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს: მოსალოდნელი ემისიები, გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში და სხვა; ასევე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებები. სტაციონარული გაფრქვევის წყაროების არსებობის შემთხვევაში გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი;
- გამწმენდი ნაგებობიდან (სეპტიკიდან) არასასიამოვნო სუნის შესაძლო გავრცელებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- ხმაურის გავრცელება და მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ტერიტორიის გეოლოგიური პირობების აღწერა და გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება;
- ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედების (უკვე განხორციელებული სამუშაოების გათვალისწინებით) შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე და შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტებზე, დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- კლიმატურ, მათ შორის, საპროექტო არეალის მიკროკლიმატურ პირობებზე ზემოქმედების შეფასება, რეგიონში არსებული/საპროექტო ანალოგიური ტიპის ობიექტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე. ასევე უნდა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- საქმიანობის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ასევე, ინფორმაცია საქმიანობის შედეგად მოსალოდნელი ნარჩენებისა (კოდები, დასახელებები, რაოდენობა) და მათი შემდგომი მართვის ღონისძიებები, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებსა და მოთხოვნებთან;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ჩამდინარე წყლების სეპტიკური ავზის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ლამის მართვის საკითხები, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ამოღებული ლამის წლიური რაოდენობის, დროებითი

განთავსების/დამუშავების, დროებითი განთავსების პერიოდულობისა და შემდგომი მართვის შესახებ;

- ინფორმაცია კუმულაციური ზემოქმედების შესახებ, სამომავლოდ დაგეგმილ და მიმდინარე პროექტებთან მიმართებით და ამ ზემოქმედების პრევენციული ღონისძიებების (მათ შორის, საკომპენსაციო) საჭიროების შესახებ;
- საქმიანობით მოსალოდნელი გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
- გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ;
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები/რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია.

7. შენიშვნები და საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, ანგარიშში წარმოდგენილი ტერიტორიის მთლიანი 146328 კვ.მ. ფართობიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, **28169 კვ.მ. მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე**. კერძოდ, ბაკურიანის სატყეო უბნის ბაკურიანის სატყეოს კვარტალი N 15-ის ლიტერი NN 38; 42; 51; 53-58; 66 და

კვარტალი N 18-ის ლიტერი NN 1-10; 21- ში. ასევე, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მდებარე 28169 კვ.მ. ფართობიდან **8315 კვ.მ.** ფართობით ზედდებამია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ 20 ერთეულ მიწის ნაკვეთზე. წარმოდგენილი მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: N 64.34.01.114; N 64.34.01.182; N 64.34.01.299; N 64.34.01.300; N 64.34.01.183; N 64.34.01.670; N 64.30.13.285; N 64.30.19.010; N 64.34.01.817; N 64.30.19.008; N 64.30.19.009; N 64.34.01.800; N 64.30.19.007; N 64.30.19.011; N 64.34.01.184) სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2025 წლის 06 თებერვლის N58/ს ბრძანებით, 49 წლის ვადით (მათ შორის, რეაბილიტაცია 10 წელი), განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება მიენიჭა შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ - HMG“-ს. გარდა ამისა, საპროექტო მიწის ნაკვეთების ნაწილზე **ტყითსარგებლობის უფლება არ ფიქსირდება.** სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი VII-XIV) განსაზღვრული საქმიანობა, ან მისი განკარგვა სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებას საჭიროებს. შესაბამისად, ვინაიდან საქმიანობა იმავდროულად საჭიროებს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალურ სარგებლობას, სააგენტოში **გზშ-ის ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს მოსაზრება;**

- სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული სრული ინფორმაცია ნარჩენებისა და მათი შემდგომი მართვის საკითხებთან დაკავშირებით, რაც გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს;
- ინფრასტრუქტურის ნაწილი წარმოდგენილი მხოლოდ ხაზოვანი Shp-ფაილების სახით. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში პროექტით გათვალისწინებული ტერიტორიის Shp-ფაილები წარმოდგენილი უნდა იქნას ასევე პოლიგონური სახით. ასევე, მოცემული უნდა იქნას საბაგირო ტრასის ბუფერი, shp-ფაილებში ასახვით;
- სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 10 ივლისის სკრინინგის გადაწყვეტილების (ბრძანება №346/ს) თანახმად, საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენდა 173.1 ჰა-ს, თუმცა წარმოდგენილი Shp ფაილების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი არ აღემატება დაახლოებით 9 ჰექტარს. ამასთან, ფიგურა 1-ზე მოცემული საპროექტო ტერიტორიის კონტური იმეორებს სკრინინგის ანგარიშში მოცემულ არეალს. გარდა ამისა, სკოპინგის განცხადება წარმოდგენილია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-2 დანართის 11.2 ქვეპუნქტით, რომელიც გულისხმობს ქალაქგარეთ 10 ჰექტარზე მეტ ფართობზე დასასვენებელი კომპლექსური დასახლების (მათ შორის, სასტუმროსა და მასთან დაკავშირებული ნაგებობების) მშენებლობას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტით გათვალისწინებული ტერიტორიის (მათ შორის, სასტუმროსა და მასთან დაკავშირებული ნაგებობების) ფართობი დაზუსტებას საჭიროებს (Shp ფაილებში

ასახვით). გარდა ამისა, აღნიშნულის შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენის საკანონმდებლო საფუძველი;

- ცხრილი 2 (პროექტის GIS კოორდინატები) საჭიროებს განმარტებას, ვინაიდან, მოცემულია მხოლოდ 3 GPS კოორდინატი (წყლის რეზერვუარი, სტადიონის, ტობოგანი);
- სკოპინგის ანგარიშში მოცემული ჩანაწერი - „ბაკურიანის გენერალური გეგმის და არეალების დამუშავების პირობების გათვალისწინებით, საპროექტო არეალის საზღვრები დაკორექტირდა. კერძოდ, სასწავლო სათხილამურო ტრასისა და საბაგროს ზედა სადგურის ინფრასტრუქტურის ინტეგრირების მიზნით, საპროექტო არეალი გაიზარდა მხოლოდ სარეკრეაციო და ლანდშაფტური ტერიტორიის ხარჯზე, ხოლო სამშენებლო მიწის ნაკვეთების მოცულობა არსებითად არ შეცვლილა“ - განმარტებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „ვინაიდან საპროექტო არეალში მცენარეული საფარის მოხსნა და მიწის სამუშაოები უკვე დასრულებულია, „საბაზისო კვლევის“ ნაცვლად აქცენტი გაკეთდება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგზე. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნება მონიტორინგის გეგმა, რომლის მიზანია საპროექტო არეალის მიმდებარედ დარჩენილი ჰაბიტატებისა და ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მდგომარეობაზე დაკვირვება ოპერირების ეტაპზე“, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა, რომელშიც აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტზე (განსაკუთრებით ცხოველებზე, მათ შორის, ფრინველებსა და ხელფრთიანებზე) და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხი, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი პრევენციული, მათ შორის, საკომპენსაციო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით;
- გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი იქნეს წინადადებები გარემოსთვის მიყენებული ზიანის (მოხსნილი მცენარეული საფარი, დეგრადირებული მიწა) საკომპენსაციო ღონისძიებების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ობიექტი დაშორებულია საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე „მნიშვნელოვანი ორნითოლოგიური ტერიტორიებისგან“ (IBA), სამხრეთის მიმართულება: უახლოესი IBA ზონა დაშორებულია პირდაპირი ხაზით 9.5 კილომეტრით. აღმოსავლეთის მიმართულება: აღმოსავლეთით მდებარე ზონა (IBA-GE026) დაშორებულია 35.93 კილომეტრით“, რაც ასევე აღინიშნა საჯარო განხილვაზე. თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორია მთლიანად ემთხვევა ფრინველთათვის მნიშვნელოვან ტერიტორიის (IBA – Trialeti Ridge (GE019)) საზღვრებში. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს;

- სკოპინგის ანგარიშში სათანადოდ არ არის განხილული ინფრასტრუქტურული ობიექტების ალტერნატივები. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული შერჩეული ალტერნატივები. მათ შორის, ობიექტ(ებ)ის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;
- გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
- სკოპინგის ანგარიშში სქემატური ნახაზები წარმოდგენილია დაბალი გარჩევადობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს სქემატური ნახაზები და სურათები მაღალი გარჩევადობით;
- სკოპინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ HMG“ სააგენტოში წარმოდგენს ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს. გარდა ამისა, 5.8.1. ქვეთავში აღნიშნულია, რომ ნარჩენების მართვის კუთხით გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისა და შემცირების მიზნით, ოპერირების ეტაპზე ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, თხევადი სახიფათო ნარჩენები მოგროვდება ჰერმეტიკ კასრებში/რეზერვუარებში და სხვ. ვინაიდან საპროექტო ინფრასტრუქტურა უკვე მოწყობილია, აღნიშნული ჩანაწერები დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალაღება ხორციელდება საპროექტო არეალის მიმდებარედ არსებული ზედაპირული წყლის ობიექტიდან (ღელე). გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია წყლის აღებისა და მიწოდების შესახებ (ასაღები წყლის რაოდენობის, ჯერადობა და პერიოდულობა, წყალაღების GPS კოორდინატები, მილსადენის შესახებ ინფორმაცია, სქემატურ ნახაზებზე ასახვითა და Shp ფაილების მითითებით);
- გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია სატუმბი სადგურების შესახებ (ფიზიკური მახასიათებლების, წარმადობის, ადგილმდებარეობის მითითებით);
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საქართველოს მთავრობის 2021 წლის 09 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილბოთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვეთავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ HMG“-ის მიერ წარმოდგენილ საქმიანობაზე (ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში, ტურისტული ინფრასტრუქტურის (საბაგიროს, ტობოგანის და ატრაქციონების) ექსპლუატაცია) **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით, სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.